რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 439/თ

„30“ ოქტომბერი, 2019 წელი,
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულ პირთა სასამართლოს დროებითი განთავსების დანაყოფში დაშვების ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოს ყოველდღიურად უწევს აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობების განხილვა. დაკავებული ბრალდებულების, სასამართლოს შენობის დროებითი განთავსების დანაყოფში მოთავსება ხდება, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვამდე, ასევე შუამდგომლობის განხილვის დასრულების შემდეგ, სანამ სასამართლო უზრუნველყოფს მხარეებისთვის დასაბუთებული განჩინების გადაცემას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლოს შენობის დროებითი განთავსების დანაყოფში ხდება ბადრაგირების განმახორციელებელ პირთა ცვლილება, რაც ქმნის რეალურ საფრთხეს, სასამართლოს დროებითი განთავსების დანაყოფში (რომელიც წარმოადგენს სასამართლოს გამგებლობაში არსებულ დაცულ ტერიტორიას) მოხვდეს პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი ბრალდებულის ბადრაგირებაზე.

არსებული საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს დაკავებულ პირთა სასამართლოს დროებითი განთავსების დანაყოფში დაშვების ორგანიზაციული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოში - რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის მანდატურებს, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში - მაგისტრატი მოსამართლის აპარატის მანდატურებს დაევალოთ:

✓ სასამართლოს შენობაში არსებულ დაკავებულ პირთა დროებითი განთავსების დანაყოფში, ბრალდებული და ბადრაგირების განმახორციელებელი პირები დაუშვას მხოლოდ, შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ;

✓ ჟურნალში აღრიცხვას აწარმოებს №1 და №2 საგუშაგოზე მყოფი მორიგე მანდატური;

✓ აღრიცხვის ჟურნალში სავალდებულოდ ეთითება: ბრალდებულის ვინაობა, ასევე ბადრაგირების განმახორციელებელი პირები, სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით.

2. ბრძანების განუხრელად შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს;

3. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატს;

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე